ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - დავითი ტაბატაძე

საანგარიშო პერიოდი - 30.10.2025 წლიდან 01.10.2026 წლამდე

არჩევის წესი - პროპორციული

თანამდებობის დასახელება - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა
საანგარიშო პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჩატარებული 17 სხდომიდან დავესწარი 16 სხდომას. ერთი სხდომის გაცდენა განპირობებული იყო შვებულებაში ყოფნით, რაც წარმოადგენდა სხდომაზე დასწრების შეუძლებლობის საპატიო მიზეზს.

სულ კომისიის სხდომების რაოდენობა:

- საანგარიშო პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ჩატარებული 9 სხდომიდან დავესწარი 7 სხდომას. 2 სხდომის გაცდენა განპირობებული იყო შვებულებაში ყოფნით, რაც წარმოადგენდა სხდომაზე დასწრების შეუძლებლობის საპატიო მიზეზს.

- საანგარიშო პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ ჩატარებული 5 სხდომიდან დავესწარი 4 სხდომას. 1 სხდომის გაცდენა განპირობებული იყო შვებულებაში ყოფნით, რაც წარმოადგენდა სხდომაზე დასწრების შეუძლებლობის საპატიო მიზეზს.

მ/შ დროებითი კომისიები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს წევრი - სხდომების რაოდენობა - 1, დასწრება - 1.

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისია - სხდომების რაოდენობა - 1, სხდომებზე დასწრება - 1.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი - სხდომების რაოდენობა - 2, დასწრება - 2.

ფრაქციის სხდომებზე დასწრება

ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო'' სხდომების რაოდენობა - 3, სხდომებზე დასწრება -3.

ინიცირებული საკითხები:

წარვადგინე დადგენილების პროექტი ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და ერთხმად დამტკიცდა დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების, ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის და მათში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილებები;

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - დადგენილება;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის

შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - დადგენილება;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - დადგენილება;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ - დადგენილება;

- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ'' - დადგენილება;

- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებული გუნდების, მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგებისა და მუსიკალური გუნდების 2026 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' - დადგენილება;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს'' ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე - დადგენილება;

- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ'' - დადგენილება;

- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობით უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ'' - დადგენილება;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - დადგენილება;

- ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“ - შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასთან მიერთების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე - განკარგულება;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის შესახებ - განკარგულება;

- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ - განკარგულება;

- მაღალმთიან დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს, დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე - განკარგულება;

- სტიქიის პრევენციის ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინასაპროექტო წინადადების მოწონების თაობაზე - განკარგულება;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუგარეთში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩისთვის სახელის მინიჭების თაობაზე - განკარგულება;

- ქალაქ ახალციხეში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩისათვის სახელის მინიჭების თაობაზე (ივ.ახალციხელის ქ.) - განკარგულება;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩისთვის სახელის მინიჭების თაობაზე - განკარგულება;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ - დადგენილება;

- წმინდა შალვა ახალციხელის მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე საკითხის მიზანშეწონილად ცნობის შესახებ - განკარგულება;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (ააიპ კავშირი ,,თანადგომა შვილებს'') - განკარგულება.

მოსახლეობასთან შეხვედრები:

ჩემი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სისტემატურად ვმართავ შეხვედრებს მოქალაქეებთან, როგორც სამუშაო ადგილზე - ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე. ვეცნობი მათ საჭიროებებს, მოთხოვნებსა და

პრობლემურ საკითხებს. მუდმივად ვიმყოფები მოსახლეობასთან კომუნიკაციაში, აქტიურად ვარ ჩართული მათ წინაშე არსებული საკითხების შესწავლისა და შესაბამისი რეაგირების პროცესში. უზრუნველვყოფ, მოსახლეობასთან უკუკავშირს, ვცდილობ, თითოეული მოქალაქის საკითხი იყოს ყურადღებით განხილული და შესაბამის უწყებამდე მიტანილი.

აღნიშნული მიმართულებით ვმუშაობ მაღალი პასუხისმგებლობით, მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებული მიდგომით.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

მოქალაქეებთან შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები, რომლებიც უკავშირდება მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებებს, ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობას, ასევე ადგილობრივ დონეზე არსებული ინფრასტრუქტურული და ადმინისტრაციული საკითხების მოწესრიგებას.

მოქალაქეებთან საუბრისას ყურადღება გამახვილდა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და სტაბილური შემოსავლის მნიშვნელობაზე. გამოიკვეთა დასაქმების ხელმისაწვდომობის, პროფესიული შესაძლებლობების გამოყენებისა და ოჯახის ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხები.

ასევე ყურადღება გამახვილდა ჯანდაცვის მიმართულებით არსებულ საჭიროებებზე, მათ შორის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით აქცენტი გაკეთდა საზოგადოებრივი სივრცეების მოწესრიგებაზე, მუნიციპალური მომსახურების სერვისების გაუმჯობესებაზე, გზების მოვლა-პატრონობასა და ცალკეული ინფრასტრუქტურული საკითხების ეტაპობრივ მოგვარებაზე.

შეხვედრების ფარგლებში ასევე გამოიკვეთა სხვადასხვა ადმინისტრაციული საკითხები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო და მუნიციპალურ უწყებებთან ურთიერთობას, განცხადებებისა და მიმართვების მომზადებას, საჭირო დოკუმენტაციის წარდგენასა და შესაბამისი პროცედურების გარკვევას. მოქალაქეთა ნაწილი საჭიროებდა დამატებით ინფორმაციას კონკრეტული საკითხების განხილვის უფლებამოსილი უწყებების, მიმართვის ფორმებისა და საკითხის შემდგომი მსვლელობის შესახებ. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მოქალაქეებისთვის პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდებასა და შესაბამისი პროცედურების განმარტებას.

მოქალაქეებს, მათ მიერ წარმოდგენილ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, მათივე ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, გავუწიე შუამდგომლობა როგორც სამცხე-ჯავახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან. შუამდგომლობების მიზანს წარმოადგენდა მოქალაქეთა პრობლემების შესაბამისი უწყებისთვის გაცნობა და მათი კომპეტენციის ფარგლებში საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა. აღნიშნულ საკითხებზე ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა, თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა:

ჩემი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად ვთანამშრომლობ სხვადასხვა ორგანიზაციებთან, შესაბამის უწყებებთან და მათ წარმომადგენლებთან.

მონაწილეობა მივიღე სამუშაო შეხვედრაში, რომლის ფარგლებში განხილული იქნა ქალაქ ახალციხის განვითარების გენერალური გეგმა, ხედვა და სტრატეგია.

ასევე, აქტიურად ვარ ჩართული საზოგადოებრივ ღონისძიებებში, სამუშაო ურთიერთობების გასაძლიერებლად და დასახული მიზნების ეფექტიანად განსახორციელებლად.

საანგარიშო პერიოდში:

2025 წლის 31 ოქტომბერს - დავესწარი სოფელ აწყურში ტრადიციულ ღონისძიებას „შემოდგომის ფესტივალი'', ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო კულტურული და სპორტული აქტივობები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელი სამზარეულო და ტრადიციული კერძები. სტუმრების წინაშე მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით ადგილობრივი მოსწავლე-ახალგაზრდები წარსდგნენ.

2025 წლის 4 ნოემბერს - გავეცანი ქ. ახალციხეში რუსთაველის ქუჩაზე კინო-კლუბისა და მედიათეკის სამშენებლო სამუშაოებს.

2025 წლის 4 ნოემბერს - დავესწარი ვალის N2 საჯარო სკოლაში გამართულ საშემოდგომო ღონისძიება ,,მესხური ფესტივალს''. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო თემატური სივრცეები, ქორეოგრაფიული, მუსიკალური ნომრები და მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა.

2025 წლის 7 ნოემბერს - დავესწარი სამუსიკო სკოლაში გამართულ ღონისძიებას. პატარა შემსრულებლებმა პედაგოგებთან ერთად მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულეს. ღონისძიების დასასრულს სხვადასხვა მუსიკალურ კონკურსებსა და ფესტივალებში გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ.

2025 წლის 12 ნოემბერს - გავეცანი სოფელ ივლიტაში 18 მეტრი სიგრძისა და 7 მეტრი სიგანის მონოლითური რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობის მიმდინარეობის პროცესს.

2025 წლის 12 ნოემბერს - დავათვალიერე სოფელ სხვილისში, მდინარე ფოცხოვისწყალზე მდებარე 74 მეტრი სიგრძის დაკიდული ხიდის დასრულებული პროექტი. აღნიშნული ხიდი, სოფელ სხვილისს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან აკავშირებს და მისი რეაბილიტაციის შემდეგ, ადგილობრივი მცხოვრებლები უსაფრთხოდ გადაადგილდებიან.

2025 წლის 14 ნოემბერს - დავათვალიერე ახალციხის სამხატვრო სკოლაში მოწყობილი გამოფენა, სახელწოდებით ,,მომავალი მხატვრები''.

2025 წლის 19 ნოემბერს - დავესწარი, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში, გამართულ შემეცნებით ღონისძიებას „ექსპონატით მოყოლილი ისტორია''.

2025 წლის 26 ნოემბერს - დავესწარი ქალაქ ახალციხის გენერალური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ გაცნობითი ხასიათის შეხვედრას.

2025 წლის 28 ნოემბერს - ადგილობრივი თვითმმართველობისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებთან ერთად შევხვდი პედაგოგებს, რომლებიც დაჯილდოვდნენ წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის.

2025 წლის 8 დეკემბერს - პარლამენტის წევრ ანტონ ობოლაშვილთან, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად შევხვდი ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებს, რომელთაც მადლობა გადავუხადეთ სკოლების ეფექტური ხელმძღვანელობისა და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

2025 წლის 19 დეკემბერს - დავესწარი ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ზამთრის, თოვლისა და ახალი წლის თემატიკაზე გამართულ ღონისძიებას.

2025 წლის 20 დეკემბერს - დავესწარი ,,ქალაქის მთავარი ნაძვის ხის ანთების საზეიმო ღონისძიებას''.

2025 წლის 22 დეკემბერს - დავესწარი ახალციხეში პროფესიონალური კალათბურთის გუნდი ,,ახალციხისა'' და ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის შექმნის პრეზენტაციას.

2025 წლის 26 დეკემბერს - დავესწარი სოფელ აწყურში საახალწლო ღონისძიებას.

2026 წლის 14 იანვარს - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით შევხვდი, მესხეთის სახელმწიფო დრამატული და ახალციხის თოჯინების სახელმწიფო თეატრების მსახიობებს.

2026 წლის 15 იანვარს - დავესწარი ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენას.

2026 წლის 18 თებერვალს - დავესწარი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში, სოფლებში: თისელი, ტყემლანასა და აწყურში გამართულ შეხვედრებს.

2026 წლის 19 თებერვალს - დავესწარი აგარის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში საპროექტო წინადადებების განხილვის მიზნით გამართულ შეხვედრებს.

2026 წლის 21 თებერვალს - დავესწარი საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტის გასვლით სამუშაო შეხვედრას, რომელსაც ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტულმა კომპლექსმა უმასპინძლა.

2026 წლის 21 თებერვალს - დავესწარი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' გამართულ შეხვედრებს კლდის და ფერსის ადმინისტრაციულ ერთეულში.

2026 წლის 23 თებერვალს - დავესწარი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, გამართულ შეხვედრებს, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სვირი, ბოგასა და ტატანისში მცხოვრებ მოსახლეობასთან.

2026 წლის 25 თებერვალს - დავესწარი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' გამართულ შეხვედრებს ელიაწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში.

2026 წლის 27 თებერვალს - დავესწარი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში გამართულ შეხვედრებს ვალის, ხაკისა და საძელის მოსახლეობასთან.

2026 წლის 6 მარტს - დავესწარი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' სოფლებში ხეოთსა და ურაველში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებს.

2026 წლის 8 მარტს - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და სამცხე-ჯავახეთის ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის წევრებთან ერთად, ვესტუმრე კლინიკა „იმედს'' და იქ მომუშავე ქალბატონებს, ქალთა საერთაშორისო დღე მივულოცე.

2026 წლის 3 აპრილს - დავესწარი ქ. თბილისში, ახალციხისა და ოზურგეთის განვითარების გენერალური გეგმების ხედვისა და სტრატეგიის განხილვის სამუშაო შეხვედრას.

2026 წლის 8 აპრილს - დავათვალიერე ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქუჩა №124-ში კინო-კლუბის მშენებლობის სამუშაოები. ასევე ამავე დღეს მოვინახულე ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც თაყაიშვილის ქუჩა №90-ის მიმდებარედ ხორციელდება და ითვალისწინებს ახალი სკვერის მოწყობას, მინი ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებით, ასევე საბავშვო ატრაქციონებით.

2026 წლის 9 აპრილს - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ყვავილებით შევამკე 9 აპრილის მემორიალი, რითაც მივაგეთ პატივი დაღუპული გმირების ხსოვნას.

2026 წლის 23 აპრილს - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან ერთად ვესტუმრე სოფელ წყრუთის საბავშვო ბაგა-ბაღს და დავესწარი საგაზაფხულო აქტივობას.

2026 წლის 24 აპრილს - დავესწარი ახალციხის სამხატვრო სკოლაში მოწყობილ სააღდგომო–საგაზაფხულო გამოფენას - ფერწერა, გრაფიკა, კომპოზიცია, ნამუშევრები მინაზე და ვიტრაჟში.

2026 წლის 25 აპრილს - დავესწარი ღონისძიებას სახელწოდებით „ენის სიცოცხლე ერის სიცოცხლეა'', რომელიც ქართული ენის დღეს მიეძღვნა და მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლები.

2026 წლის 28 აპრილს - მოვინახულე ქალაქ ახალციხეში, გვარამაძის ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები.

2026 წლის 5 მაისს - გავეცანი ახალციხის მუნიციპალიტეტში სოფელ ხაკში მიმდინარე სამუშაო პროცესს. პროექტის ფარგლებში ხორციელდება სოფლის შიდა საავტომობილო გზის კაპიტალური რეაბილიტაცია, 1300 მეტრიან მონაკვეთზე იგება ბეტონის საფარი და ეწყობა სანიაღვრე არხები.

2026 წლის 9 მაისს - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, პატივი მივაგე ახალციხეში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას.

2026 წლის 11 მაისს - დავესწარი ქალაქ ახალციხეში, იაძის ქუჩაზე თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი №4 საბავშვო ბაგა-ბაღი გახსნას.

2026 წლის 17 მაისს - მონაწილეობა მივიღე ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებით, ქალაქ ახალციხეში გამართულ მასშტაბურ მსვლელობაში.

2026 წლის 17 მაისს - დავესწარი ახალციხეში 2026 წლის ტურისტული სეზონის ოფიციალურად გახსნას, რომლის აღსანიშნავადაც „ახალციხის ციხეზე'' მრავალფეროვანი კულტურული და გასართობი ღონისძიებები გაიმართა.

2026 წლის 20 მაისს - დავესწარი ქალაქ ახალციხის პირველი საჯარო სკოლის ბოლო ზარის ღონისძიებას.

2026 წლის 21 მაისს - დავესწარი ქალაქ ახალციხის № 2 საჯარო სკოლის ბოლო ზარის ღონისძიებას.

2026 წლის 22 მაისს - დავესწარი მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის პრემიერას ,,ხელის თხოვნა'' სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად.

2026 წლის 22 მაისს - დავესწარი ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ურავლისა და ანდრიაწმინდის საჯარო სკოლებში გამართულ ბოლო ზარის ღონისძიებებს.

2026 წლის 26 მაისს - დავესწარი ქალაქ ახალციხეში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს.

2026 წლის 1 ივნისს - დავესწარი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ცენტრალურ პარკში გამართულ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას.

2026 წლის 7 ივნისს - დავესწარი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისა და სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის მხარდაჭერით ქალაქ ახალციხეში გამართულ ფესტივალს „გემოფესტი 2026''.

2026 წლის 8 ივნისს - დავესწარი აწყურის სამუსიკო სკოლაში გამართულ წლის შემაჯამებელ კონცერტს.

2026 წლის 9 ივნისს - დავესწარი ქალაქ ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენას და ალბომის პრეზენტაციას. გამოფენაზე 70-მდე თანამედროვე, ადგილობრივი ხელოვანების ნახატები იყო წარმოდგენილი, მათ შორის, როგორც პროფესიონალი, ისე თვითნასწავლი მხატვრების.

2026 წლის 10 ივნისს - დავესწარი ახალციხის სამუსიკო სკოლაში ფოლკლორული ანსამბლის „ხმა მესხეთიდან'' გამართულ ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს.

2026 წლის 11 ივნისს - დავესწარი ქალაქ ახალციხის №2 და №7 საბავშვო ბაგა-ბაღებში სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელების ღონისძიებას.

2026 წლის 16 ივნისს - დავაჯილდოვე სამოყვარულო ფეხბურთის ტურნირის გამარჯვებული გუნდები მუნიციპალიტეტის მერ ვარლამ წიკლაურთან და მერის მოადგილე გიორგი მელიქიძესთან ერთად. ტურნირში ადმინისტრაციული ერთეულებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის გუნდები მონაწილეობდნენ.

2026 წლის 18 ივნისს - დავესწარი ახალციხის სამუსიკო სკოლაში გამართულ სასწავლო წლის შემაჯამებელ კონცერტს.

2026 წლის 20 ივნისს - დავესწარი ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში გამართულ სახალხო დღესასწაულ „აწყურობას''. ღონისძიება კულტურის სახლში გაიმართა, რომლის ფარგლებშიც მრავალფეროვანი აქტივობები მოეწყო. წარმოდგენილი იყო გამოფენა „წინაპართა ნაკვალევზე'', რომელიც სოფლის მდიდარ ისტორიას, შემოქმედებით და სპორტულ ცხოვრებას ასახავდა.

2026 წლის 24 ივნისს - დავესწარი ქალაქ ახალციხის №1 საბავშვო ბაგა-ბაღში სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელების ღონისძიებას.

2026 წლის 29 ივნისს - დავესწარი საპატიო სტუმარის ცნობილი მუსიკოსის, ალაბამის (აშშ) სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორის ედიშერ სავიცკის პატივსაცემად, ახალციხის სამუსიკო სკოლის მოსწავლეების და პედაგოგების მიერ გამართულ მრავალფეროვან საკონცერტო პროგრამას.

2026 წლის 30 ივნისს - დავესწარი ქალაქის მთავარ დღესასწაულს - „ახალციხელობა 2026''.

2026 წლის 6 ივლისს - გავეცანი ქალაქ ახალციხეში, ხანძთელის ქუჩა №32-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს.

2026 წლის 7 ივლისს - დავესწარი სოფელ წყრუთის საბავშვო ბაგა-ბაღში სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელების გამართულ ღონისძიებას.

2026 წლის 14 ივლისს - დავესწარი ქორეოგრაფიული ანსამბლების „სამცხისა'' და „ზარზმის'' სოლო კონცერტს.

2026 წლის 15 ივლისს - დავესწარი ახალციხის ციხეზე გამართულ კონცერტს. ღონისძიებაში ახალციხის მუნიციპალიტეტში მოქმედი სომხური ანსამბლები მონაწილეობდნენ, რომლებიც მაყურებლის წინაშე მრავალფეროვანი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით წარსდგნენ.

2026 წლის 21 ივლისს – დავესწარი ახალციხეში გამართულ ვეტერან ფეხბურთელთა რეგიონულ საფეხბურთო ტურნირს.

2026 წლის 3 აგვისტოს - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დავათვალიერე ქ. ახალციხეში ცენტრალურ უბანში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, სადაც შალვა ახალციხელისა და ნათენაძის ქუჩების კვეთაზე საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია მიმდინარეობდა. ასევე, საავტომობილო გზაზე მოეწყო წრიული მოძრაობის კვანძები. შოთა რუსთაველის ძეგლის მიმდებარედ არსებული სკვერი საჭირო ინვენტარით აღიჭურვა, დამონტაჟდა ახალი ლამპიონები და კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია.

2026 წლის 8 აგვისტოს - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, შევამკე ქალაქის ცენტრალურ პარკში მდებარე სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა მემორიალი ყვავილებით და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას მივაგეთ პატივი.

2026 წლის 10 აგვისტოს - დავათვალიერე ქალაქ ახალციხეში, თაყვაიშვილის ქუჩაზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ახალი სპორტული მინი მოედანი.

2026 წლის 25 აგვისტოს - დავესწარი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დავაჯილდოვე ახალციხის მუნიციპალიტეტში 7X7 ფეხბურთის ჩემპიონატში მონაწილე გამარჯვებული გუნდები.

2026 წლის 26 აგვისტოს - დავათვალიერე ქალაქ ახალციხეში სკვერების მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, რეაბილიტაცია უტარდება 9 აპრილის ქუჩის №14-ში, კოსტავას ქუჩის №179-ისა და №184-ის მიმდებარედ, ასევე თამარაშვილის ქუჩის №2, №4 და №6-ში არსებულ სკვერებს.

2026 წლის 31 აგვისტოს - დავათვალიერე ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ქალაქ ახალციხეში, 9 აპრილის ქუჩაზე და ახალქალაქის გზატკეცილზე, რუსთაველისა და ჯაყელის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე წრიულების რეაბილიტაცია. ასევე, მოვინახულე კოსტავასა და 9 აპრილის ქუჩებზე არსებულ ხიდებზე დამონტაჟებული ახალი გარე განათება.

2026 წლის 4 სექტემბერს - დავათვალიერე და გავეცანი ქალაქ ახალციხეში ახალი საფეხბურთო ტექნიკური ცენტრისა და ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობას.

2026 წლის 8 სექტემბერს - დავესწარი ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობის ანგარიშის წარდგენას.

2026 წლის 11 სექტემბერს - დავესწარი სოფელ ურავლისა და სოფელ მუსხის მოსახლეობასთან შეხვედრებს. გავეცანი სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებს და ვისაუბრეთ მათი გადაჭრის გზებზე.

2026 წლის 14 სექტემბერს - დავათვალიერე ქალაქ ახალციხეში, გვარამაძის ქუჩაზე დასრულებული საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი.

2026 წლის 15 სექტემბერს - ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცე ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლის სკოლებში მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს.

2026 წლის 20 სექტემბერს - დავესწარი ახალგაზრდულ ფესტივალს „ახალ ART'' ახალციხეში.

2026 წლის 21 სექტემბერს - ადგილობრივი თვითმმართველობისა და ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად დავაჯილდოვე საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის გამარჯვებულები და საპრიზო ადგილზე გასული მონაწილეები.

2026 წლის 23 სექტემბერს - დავესწარი მოსახლეობასთან შეხვედრებს სოფლებში - ჭაჭარაქსა და მინაძეში.

2026 წლის 25 სექტემბერს - დავესწარი ქართული და მსოფლიო ჭადრაკის ლეგენდის, საპატიო სტუმრის ნონა გაფრინდაშვილის პატივსაცემად გამართულ ღონისძიებას, რომელიც ეწვია ქალაქ ახალციხეს.

2026 წლის 26 სექტემბერს - დავესწარი სოხუმის დაცემიდან 33 წლისთავთან დაკავშირებით, ახალციხეში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნაზე პატივის მიგების ცერემონიას.

2026 წლის 29 სექტემბერს - დავესწარი პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარში" გამართულ ღია კარის დღეს.

შევსების თარიღი 20.10.2026 წ.

წარდგენის თარიღი 30.10.2026 წ.

ხელის მოწერა ----------